

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში
საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ახალ ბერძნული ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი BA in
Humanities

პროგრამის კოორდინატორი: ასოც პროფ. სოფიო შამანიდი

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ანტიკურობა თანამედროვე ევროპული კულტურის საფუძველია. ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურა, ხელოვნება, მითოლოგია, ფილოსოფია დღესაც კაცობრიობის სულიერი განვითარების ერთ-ერთ უმძლავრეს სტიმულს, ხოლო ბერძნული და ლათინური ენები საერთაშორისო ტერმინოლოგიის ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ანტიკურ სამყაროსთან საქართველოს - კოლხეთსა და იბერიას - უხსოვარი დროიდან მჭიდრო კავშირები ჰქონდა, ქართველური კომპონენტი მნიშვნელოვანია წინაბერძნულსა და წინარომაულ მედიტერანულ კულტურებში.

ანტიკური ცივილიზაციის დაქვეითების შემდგომ ერთი ათასწლეულის განმავლობაში მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე ერთ-ერთ წამყვან როლს ანტიკურობის მემკვიდრე შუა საუკუნეებში, ქრისტიანობის ბურჯი - ბიზანტია ასრულებდა. ბიზანტიაში შეიქმნა ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, ბიზანტიურ-ქართული მრავალმხრივი და ინტენსიური ურთიერთობები საქართველოსთვის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო.

თანამედროვე მართლმადიდებლური საბერძნეთი, მემკვიდრე დიადი ანტიკური და შუა საუკუნეების ბერძნულენოვანი კულტურებისა, ამჟამად ევროკავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, გამორჩეული თავისი თანამედროვე თვითმყოფადი კულტურით, საქართველოსთან წარმატებით აგრძელებს ათასწლეულების მომცველ ურთიერთობებს. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი ამზადებს სპეციალისტებს ამ უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შესათვისებლად - სამი ძირითადი მიმართულებით, ანუ სპეციალობით.

მიზანი: კურსის მიზანია სტუდენტს შეისწავლოს ახალ ბერძნული ენა, თანამედროვე საბერძნეთის ლიტერატურა, ისტორიას და კულტურა, როგორც ანტიკურობისა და შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებთან მიმართებით.

სტუდენტი საფუძვლიანად დაეუფლება ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის სწავლების თეორიასა და პრაქტიკას; ახალი ბერძნული ენიდან თარგმნის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებსა თუ მხატვრულ ლიტერატურას; გაივლის სინქორნული თარგმანის კურსებს სპეციალური აპარატურის გამოყენებით; გაეცნობა თანამედროვე ბერძნულ კულტურას: თეატრს, კინემატოგრაფიას, სახვით ხელოვნებას.

სწავლების პროცესის გასაღრმავებლად და გასამრავალფეროვნებლად სისტემატურად მოეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული სადამოები, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა

და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა საჯარო ლექციები. იმუშავებს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია “ოდეონი”. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები გამოქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ “მნემოსინეში”.

მაღალკვალიფიციურ ქართველ პედაგოგებთან ერთად, ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ჩაატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები.

წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნებიან საბერძნეთის და იტალიის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

შედეგი: პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი შეიძენს კომპლექსურ ცოდნას ახალ ბერძნულსა და თანამედროვე საბერძნეთის კულტურაზე (ლიტერატურა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, მითოლოგია, ფილოსოფია), დაეუფლება ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის სწავლების თეორიასა და პრაქტიკას; ახალი ბერძნული ენიდან თარგმნის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებსა თუ მხატვრულ ლიტერატურას; გაივლის სინქორნული თარგმანის კურსებს სპეციალური აპარატურის გამოყენებით; გაეცნობა თანამედროვე ბერძნულ კულტურას: თეატრს, კინემატოგრაფიას, სახვით ხელოვნებას.

შეეძლება ახალბერძნული ლიტერატურისა და კულტურის აქტუალურ საკითხთა კვლევა როგორც ანტიკურობასთან და თანამედროვეობასთან, ისე ქართულ სამყაროსთან მიმართებითაც.

დასაქმების სფეროები:

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, მეთოდოლოგიური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის სტუდენტი დასაქმდება:

- ენობრივ კურსებზე,
- გამომცემლობებში,
- მთარგმნელობით ცენტრებში,
- სხვადასხვა ფონდში,
- მასმედიაში,
- ბერძნულ-ქართულ კომპანიებში,
- საბერძნეთის, კვიპროსის და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში,
- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სექტორში,
- სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრებში და სხვ.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

მუშაობს დიდი სპეციალიზებული ბიბლიოთეკა - სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტი, საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრი ინტერნეტით.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის კურსის დასრულების შემდეგ წარჩინებული ახალგაზრდები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე;

შეფასების ზოგადი წესი:

შეფასების სისტემა ასქულიანია და ოპტიმალურია ახალბერძნული ფილოლოგიის სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამეტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინები შედგება სხვადასხვა კომპონენტებისგან მათი ინდივიდუალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწევნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენტში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება სემინარულ და პრაქტიკულ მუშაობაზე. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

საბაკალავრო პროგრამა ახალბერძნულ ფილოლოგიაში

ძირითადი სპეციალობის პროგრამა

სავალდებულო საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი
მათ შორის:

კლასიკური ენები (სასურველია ძველი ბერძნული ენა)
– 10 კრედიტი

ახალი ბერძნული ფილოლოგიის შესავალი – 5 კრედიტი

კომპენტენციისათვის სავალდებულო საგნები – 20 კრედიტი, მათ შორის:

თარგმანის თეორია და პრაქტიკა ქართული ენის
სტრუქტურული ანალიზი + ბერძნული ენიდან თარგმანის თეორია და
პრაქტიკა) 5 კრედიტი

ლინგვისტური კომპარატივისტიკა (ბერძნული ენათმეცნიერება) – 5 კრედიტი

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია (სასურველია ანტიკური ლიტერატურის
ისტორია) 5 კრედიტი

სპეციალობისათვის სავალდებულო საბნები - 85 კრედიტი

- ახალი ბერძნული ენა 35
 - ახალი ბერძნული ენის ისტორია 5
 - ახალი ბერძნული ენის გრამატიკის თეორია – 5
 - ლიტერატურული ტექსტის ლინგვისტურ-სტილისტური ანალიზი 10
 - ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია 15
 - თანამედროვე საბერძნეთის ისტორია 5
- საბაკალავრო ნაშრომი 10

არჩევითი საბნები - 15 კრედიტი

(ყველა საგანი 5 კრედიტიანია)

- ბერძნული ხალხური სიმღერა
- თანამედროვე საბერძნეთის კულტურა და ხელოვნება
- “თანამედროვე ბერძნული თეატრი, ტექსტების კითხვა და ენობრივი ანალიზი”
- “ბერძნული ენის სინქრონული თარგმანის კურსი (იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ტერმინოლოგია)”
- ბერძნები შავი ზღვის აუზის ქვეყნებში–მიკენური ხანიდან XX საუკუნემდე.

ღამატეპიტი სპეციალოგის პროგრამა

სავალდებულო საგნები – 40 კრედიტი

- ახალი ბერძნული ენა 20
- შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში – 5
- ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია 10
- ახალი ბერძნული ენის ისტორია 5

არჩევითი საგნები – 20 კრედიტი

(ყველა საგანი 5 კრედიტიანია)

- ახალი ბერძნული ენის გრამატიკის თეორია
- ტექსტის ლინგვისტურ-სტილისტური ანალიზი
- თანამედროვე საბერძნეთის ისტორია
- ბერძნული ხალხური სიმღერა
- ბერძნული პრესის ენა
- თანამედროვე საბერძნეთის კულტურა და ხელოვნება